არსებითი სახელი და არტიკლი - Le nom et l'article

ფრანგულ ენაში, ისევე როგორც ქართულში, არსებითი სახელი მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენს. ის შეიძლება იყოს სულიერი ან უსულო, კონკრეტული ან აბსტრაქტული, საზოგადო ან საკუთარი. მაგრამ ქართული ენისგან განსხვავებით(რომელშიც არტიკლი საერთოდ არ გვაქვს), ფრანგულ ენაში არსებითი სახელი გამოიყენება არტიკლთან (ან სხვა რომელიმე მსაზღვრელთან) ერთად, რომელიც გვიჩვენებს, რომ მისი მომდევნო სიტყვა არსებითი სახელია.

ფრანგულ ენაში არსებითი სახელი არ იბრუნვის; ისინი ფორმას იცვლიან მხოლოდ სქესისა და რიცხვის მიხედვით. მათი სქესი და რიცხვი ძირითადად, არტიკლით განისაზღვრება, ხოლო წინადადებაში მათი როლი წინდებულებით ან მათი ადგილით გამოიხატება.

არსებითი სახელები ორი სქესით გამოიხატება: მამრობითი - masculin და მდედრობითი - féminin : le poisson, la chanson, mon livre, cette maison და ა.შ.

ფრანგულ ენაში არსებითი სახელები მხოლობით და მრავლობით რიცხვში, უმრავლეს შემთხვევაში, ერთნაირად გამოითქმის; თუმცა მრავლობით რიცხვში, წერაში მათ გამოუთქმელი « s »-ი ემატებათ, მათი რიცხვი, უფრო ხშირად, არტიკლის ფორმით განისაზღვრება. Une écolière – des écolières და სხვა.

masculin - féminin

Un - მამრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

Une - მდედრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

Des - ორივე სქესის არსებითი სახელებისათვის მრავლობით რიცხვში.

masculin - féminin

Le - მამრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

La - მდედრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის მხოლობით რიცხვში.

Les - ორივე სქესის არსებითი სახელებისათვის მრავლობით რიცხვში.

არსებობს ზოგადი წესი, რომელიც დაბოლოების მიხედვით განასხვავებს მდედრობითი და მამრობითი სახელების არსებით სახელებს.

მაგალითად, მამრობითი სქესის დაბოლოებებია:

MASCULIN

- **ment**

un gouvernement, un médicament…

- **phone**

un téléphone…

- **scope**

un caméscope…

- **eau**

un bureau…

- **teur**

un aspirateur…

- **age**

un garage… un fromage

Beaucoup de noms en « -e » sont masculin:
Le système, le problème, le programme, le modèle, le groupe, le sourire…

Une image, une plage, une page

მაგალითად, მდედრობითი სქესის დაბოლოებებია:

FÉMININ

- **tion /sion**

une solution, une décision…

- **té**

la réalité, la société, la beauté…

- **ure**

la culture, la peinture…

- **ette**

une bicyclette…

- **ence /ance**

la différence, la référence, la connaissance…

Beaucoup de noms en « -eur » sont féminins:
la fleur, la couleur, la peur, la valeur, la chaleur

არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვი - pluriel des noms

არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლობითი რიცხვის ფორმისათვის ასო s-ის დამატებით.

Une élève – Des élèves – Trois élèves

Une pomme -Des pommes – Deux pommes

მხოლობით რიცხვში -s, -x, -z-ით დაბოლოებული არსებითი სახელები, მრავლობით რიცხვში უცვლელნი რჩებიან:

Le pays – Les pays

La voix – Les voix

Le nez – Les nez

მხოლობით რიცხვში -au, -eau, -eu-თი დაბოლოებული არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში ასო x-ს იმატებენ.

Le tuyau – Les tuyaux

Le tableau – les tableaux

Le cheveu – les cheveux

მხოლობით რიცხვში al-ით დაბოლოებული არსებითი სახელები, მრავლობით რიცხვში დაბოლოება al-ს -aux-ით იცვლიან

Le journal – Les journaux

Le cheval – Les chevaux

შემდეგი არსებითი სახელები გამონაკლისს წარმოადგენენ და მრავლობით რიცხვში მხოლოდ s-ს იმატებენ

Le bal – Les bals

Le carnaval – Les carnavals

Le chacal – Les chacals

Le régal – les régals

Le festival – Les festivals

მხოლობით რიცხვში ou-თი დაბოლოებული 7 არსებითი სახელი, მრავლობით რიცხვში იმატებს x-ს

Le chou– Les choux

Le caillou – les cailloux

Le genou – les genoux

Le hibou – les hiboux

Le joujou – les joujoux

Le pou – les poux

ზოგიერთი არსებითი სახელი თავისებურად აწარმოებს მრავლობით რიცხვს.

Le travail – les travaux

Le oeil – les yeux

Le ciel – les cieux

Le aïeul – les aïeux (წინაპარი)

Le soupirail – les soupiraux (საჰაერო)

ორი არსებითი სახელისგან ან ზედსართავისა და არსებითი სახელისაგან შედგენილ რთულ არსებით სახელებში ორივე სიტყვა მრავლობით რიცხვში დაისმის

Le chou-fleur – les choux-fleurs

La basse-cour – les basses-cours

Le cerf-volant – les cerfs-volants

წინდებულით შეერთებული ორი არსებითი სახელისაგან ან ზედსართავისა და არსებითი სახელისაგან შედგენილ რთულ არსებით სახელებში ორივე სიტყვა მრავლობით რიცხვში დაისმის.

.a pomme de terre – Les pommes de terre

Le chemin de fer – Les chemins de fer

არსებობს ისეთი არსებითი სახელებიც, რომლებიც მხოლოდ მრავლობით რიცხვში გამოიყენება:

Les funérailles

Les archives

Les mœurs

Les vivres

Les environs

Les décombres

Les frais

ზოგიერთი არსებითი სახელი მნიშვნელობას იცვლის მრავლობით რიცხვში:

Le ciseau - საჭრეთელი **– les ciseaux -** მაკრატელი

La défense - დაცვა **– les défences -** ეშვები

Le fer - რკინა **– les fers -** ბორკილები

La lettre - წერილი **– les lettre -** სიტყვიერება

La lunette - ჭოგრიტი **– les lunettes -** სათვალე

Le papier - ქაღალდი **– les papiers -** საბუთები

La troupe - რაზმი, დასი **– les troupes -** ჯარები

არსებითი სახელების მდედრობითი სქესის წარმოება - féminin des substantifs

ფრანგულ ენაში არსებობს მამრობითი და მდედრობითი სქესის ისეთი არსებითი სახელები, რომლებსაც ერთი და იგივე ფუძე აქვთ. ასეთი არსებითი სახელების მდედრობითი სქესი იწარმოება მამრობითი სქესის შესატყვისი არსებითი სახელებისათვის მუნჯი e-ს მიმატებით :

Le voisin – La voisine

exemple

Un habitant – Une habitante

მამრობით სქესში -er-ით ან -ier -ით დაბოლოებულ არსებით სახელები მდედრობით სქესში იმატებენ -e-ს და ბოლოს წინა e-ზე accent grave-ს

Un ouvier – Une ouvière

exemple

Un boulanger – Une boulangère

მამრობით სქესში -eur-ით დაბოლოებული არსებითი სახელები მდედრობით სქესში ნაცვლად -eur-ისა იღებენ დაბოლოება -euse-ს :

Un voleur – Une voleuse

exemple

Un seveur – Une serveuse

მამრობით სქესში -teur-ზე დაბოლოებული არსებითი ზოგიერთი სახელი მდედრობით სქესში ნაცვლად -teur-ისა იღებენ დაბოლოება -trice-ს :

Un acteur – Une actrice

Un directeur – Une directrice

exemple

მამრობით სქესში -on, -en, -ien, -at-ით დაბოლოებული არსებითი სახელები მდედრობითი სქესის წარმოებისას იორკეცებენ უკანასკნელ თანხმოვანს და იმატებენ მუნჯ e-ს:

exemple

Un lion – Une lionne

Un citoyen – Une citoyenne

Un chat – Une chatte

მამრობით სქესში -e-თი დაბოლოებული ზოგიერთი არსებითი სახელი მდედრობითი სქესში -esse-ით ბოლოვდება:

Un mâitre – Une maîtresse

exemple

Un poète – Une poètesse

ზოგიერთი არსებითი სახელი სქესში მხოლოდ არტიკლით განსხვავდება:

Un stagiaire – Une stagiaire

exemple

Un foctionnaire – Une foctionnaire

Un secrétaire – Une secrétaire

Un élève – Une élève

Un automobiliste – Une automobiliste

Un enfant – Une enfant

ზოგიერთი არსებითი სახელი განსხვავდება მხოლოდ სქესით (არტიკლით), გამოითქმის და იწერება ერთნაირად, მაგრამ მნიშვნელობა სხვადასხვაა:

Un livre - წიგნი **– Une livre -** ნახევარი კილო

Un mode - კილო **– Une mode -** მოდა

exemple

Un poste - პოსტი **– Une poste -** ფოსტა

Un tour - ტური **– Une tour -** კოშკი

<u>გამოყენებული მასალა</u>

1. Grammaire expliquée du français, niveau intermédiare – CLE INTERNATIONAL

2. Grammaire profressive du français, niveau intermédiare – CLE INTERNATIONAL
3. ფრანგული ენის გრამატიკა - ა.ა. სირეიშჩიკოვა